საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თინა ვაშაყმაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**93**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 28/05-2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

თინა ვაშაყმაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თინა ვაშაყმაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი თინა ვაშაყმაძე არის კორექტული, თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ასევე, კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. მნიშვნელოვანია, რომ იგი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა და იგი გამოირჩევა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			მიუკერძოებლობით.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20	თინა ვაშაყმაძე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს. აგრეთვე, იგი ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ თინა ვაშაყმაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIII ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მე-7 ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატს აქვს კარგი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. ამასთან, იგი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნებითა და საკუთარი შეხედულებების დამაჯერებლად გადმოცემის უნარით.
წერის უნარი	20	20	თინა ვაშაყმაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, იგი მიღებულ გადაწყვეტილებებში სწორად განმარტავს და

[1] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N2/6869-18, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/15894-18.

			აანალიზებს სამართლის ნორმებს. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებები შედგენილია კარგი სტრუქტურით და მასში როგორ ფაქტები, ისე სამართლებრივი საკითხები გადმოცემულია ნათლად და თანმიმდევრულად. ამასთან, გადაწყვეტილება ჩამოყალიბებულია გასაგები ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი. აგრეთვე, იგი არის თავდაჯერებული, გაწონასწორებული და ღიად, ნათლად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის სათანადოდ მომზადების, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. ამასთან, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (93,1%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (88,5%).
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	კანდიდატი გამოირჩევა ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესით. აღსანიშნავია, რომ იგი აქტიურად იღებს მონაწილეობას არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ ტრენინგსა და სემინარში.
პროფესიული აქტივობა	3	5	თინა ვაშაყმაძის პროფესიული აქტივობის კუთხით უნდა ითქვას, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. აღსანიშნავია, რომ კანდიდატმა გაიმარჯვა „American Councils"-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და იურიდიულ სფეროში ამერიკული გამოცდილების მისაღებად მონაწილეობდა საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ ადმინისტრირებულ პროგრამაში „Open World" ამერიკის შეერთებულ შტატებში - ვაშინგტონსა და ატლანტაში. თუმცა, იგი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური

			საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.
ქულათა ჯამი	93	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი თინა ვაშაყმაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით თინა ვაშაყმაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, თინა ვაშაყმაძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ თინა ვაშაყმაძის შეფასებისას გათვალიწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის</u>* თაობაზე უნდა ითქვას, რომ თინა ვაშაყმაძის პიროვნულ თვისებებს გამოკითხული რეკომენდატორები, რომლებიც კარგად იცნობენ კანდიდატს და მასთან აქვთ სამსახურეობრივი და პირადი ხასიათის ურთიერთობა აფასებენ დადებითად. ამასთან, აღნიშნავენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, გულწრფელი, მშვიდი, პატიოსანი, მოკრძალებული, თავაზიანი და

	დაკისრებულ მოვალეობებს ეკიდება პასუხისმგებლობის გრძნობით. მისი მხრიდან პასუხისმგებლობის გრძნობასა და მოვალეობების სათანადოდ შეგნებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა დაწესებულებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად იგი ჯეროვნად ასრულებს სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კერძოდ, მას უარყოფითი საკრედიტო ისტორია არ უფიქსირდება, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია, საგზაო მოძრაობის დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმები გადახდი აქვს დროულად და სხვ. *<u>რაც შეეხება კანდიდატის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს,</u>* ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ თინა ვაშაყმაძის დახასიათებისას რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის ობიექტური, პიროვნულად მტკიცე, დამოუკიდებელი, შეუვალი და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ამასთან, იგი გამოირჩევა მიუკერძოებლობითა და გარე ფაქტორების მიმართ მედეგობით. მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოსმენაზე კანდიდატმა დატოვა საკმაოდ მყარი, გაწონასწორებული და პრინციპული პიროვნების შთაბეჭდილება. თინა ვაშაყმაძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოთქმულა ისეთი მოსაზრებები, რაც შეიტანდა ეჭვს მის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობაში. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით თინა ვაშაყმაძის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად შესაძლებელია ითქვას, რომ იგი იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რეკომენდატორები კანდიდატის დახასიათებისას უთითებენ, რომ იგი არის თავდაჭერილი, კორექტული და კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას ავლენს თავმდაბლობასა და კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. ამასთან, უნდა ითქვას ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე თინა ვაშაყმაძე იყო საკმაოდ თავდაჯერებული, მშვიდი და გამოირჩეოდა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, რაც შეეხება სასამართლო დავებში მხარედ თინა ვაშაყმაძის მონაწილეობის საკითხს ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის ინფორმაციის თანახმად, თინა ვაშაყმაძე წარმოადგენდა მოპასუხეს ერთ სამოქალაქო საქმეში. დავის საგანი იყო - ზიანის ანაზღაურება. თუმცა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე ეთქვა უარი. რაც შეეხება *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს,</u>* კანდიდატის

	პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი კოლეგებში და იურიდიულ წრეებში სარგებლობს პატივისცემით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის ინფორმაციის შესაბამისად, თინა ვაშაყმაძის შესახებ ხელმისაწვდომია ინფორმაცია მისი მოსამართლედ განწესების თაობაზე. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ თინა ვაშაყმაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ თინა ვაშაყმაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერის უნარი; ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *<u>სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით</u>* უნდა

	აღინიშნოს, რომ თინა ვაშაყმაძე სამოქალაქო სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს. აგრეთვე, ეცნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ თინა ვაშაყმაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIII ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მე-7 ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 17 დეკემბერს თინა ვაშაყმაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. კანდიდატი გამოირჩეოდა თავდაჯერებულობით, გაწონასწორებულობით, კორექტულობით და ღიად, თავისუფლად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თინა ვაშაყმაძის მიერ გაცემული პასუხები ზოგჯერ არ იყო ამომწურავი. ამასთან, ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე მას გაუჭირდა სიღრმისეული და არგუმენტირებული მსჯელობის განვითარება. თინა ვაშაყმაძის *სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან* დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს კარგი პროფესიული, მათ შორის მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 3 წლიანი გამოცდილება. იგი ამჟამად წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს. რაც შეეხება კანდიდატის წერის უნარს თინა ვაშაყმაძის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების[3] შესწავლის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ მას აქვს სათანადო წერის უნარი. კერძოდ, კანდიდატი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებში სწორად განმარტავს და აანალიზებს სამართლის ნორმებს. იგი შედგენილია კარგი სტრუქტურით და მასში როგორ ფაქტები, ისე სამართლებრივი საკითხები გადმოცემულია ნათლად და თანმიმდევრულად. ამასთან, გადაწყვეტილებები ჩამოყალიბებულია გასაგები ენით. მნიშვნელოვანია, ითქვას ისიც, რომ შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

[2] იხ. თინა ვაშაყმაძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=yVbbL42jTOw

[3] თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება, საქმე N2/6869-18, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/15894-18.

	კანდიდატის *ზეპირი კომუნიკაციის უნართან* დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თინა ვაშაყმაძეს აქვს გამართული მეტყველების უნარი. აგრეთვე, იგი არის თავდაჯერებული, გაწონასწორებული და ღიად, ნათლად გადმოსცემს საკუთარ შეხედულებებს. თინა ვაშაყმაძის *პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარგაზში ქცევასთან დაკავშირებით* კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, შესაძლებელია ითქვას, რომ იგი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, გულმოდგინებით, პროდუქტიულობით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობა. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში მაღალია მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა (93,1%) და უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებლები (88,5%). თინა ვაშაყმაძის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოირჩევა თვითგანვითარების უნარით, არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. კანდიდატი აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, თინა ვაშაყმაძეს ჩაბარებული აქვს ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდა და პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი შერჩეულ იქნა „American Councils"-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და იურიდიულ სფეროში ამერიკული გამოცდილების მისაღებად მონაწილეობდა საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ ადმინისტრირებულ პროგრამაში „Open World" ამერიკის შეერთებულ შტატებში - ვაშინგტონსა და ატლანტაში. თუმცა, იგი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაციები. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ თინა ვაშაყმაძესთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის

	თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 93 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021